ცვლილება მეთოდურ მითითებაში

შინაარსი

- საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სანქციებისგან გათავისუფლების ღონისძიებები

საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სანქციებისგან გათავისუფლების ღონისძიებები

2022 წლის 10 ნოემბერს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 3 ნოემბრის ბრძანება N27777, რომლის თანახმადაც 2022 წლის 11 აპრილის №9021 ბრძანებაში წარმოდგენილ მეთოდურ მითითებაში შევიდა ცვლილება. ეს მეთოდური მითითება ეხება საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით გათვალისწინებულ იმ სამართალდარღვევათა შედეგად დაკისრებული სანქციებისგან გათავისუფლებას, რომლებიც ჩადენილია პირის შეცდომით/არცოდნით.

ცვლილების შედეგად, მეთოდურ მითითებას დაემატა ახალი პუნქტები, რომლებიც ეხება ცალკეული სამართალდარღვევების შემთხვევაში შეფარდებული სანქციებისაგან გათავისუფლების ღონისძიებებს.

შეფარდებული სანქციისგან გათავისუფლების ერთ-ერთი ახალი ღონისძიება ეხება ფიზიკური პირების ქონების გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის შემცირების ფაქტებს. კერძოდ, თუ საგადასახადო შემოწმების ფარგლებში გამოვლინდება ფიზიკური პირის ქონების გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების ფაქტი, აუდიტის დეპარტამენტს შეუძლია გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე (საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება) მუხლით გათვალისწინებული ჯარიმისა და 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავისაგან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კმაყოფილდება შემდეგი კრიტერიუმები:

- საგადასახადო შემოწმება ჩატარებულია მხოლოდ ფიზიკური პირის ქონების გადასახადში, საგადასახადო ვალდებულების სისწორის განსაზღვრის მიზნით
- ფიზიკური პირის მიერ ქონების გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების ფაქტი საგადასახადო ორგანოს მიერ გამოვლენილია პირველად (მიუხედავად შემოწმების აქტით მოცული შესამოწმებელი პერიოდების რაოდენობისა)

- საგადასახადო შემოწმების შედეგად ქონების გადასახადში წარმოშობილი საგადასახადო დავალიანება აღიარებულია, საგადასახადო ორგანოში საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით წარდგენილი განცხადების საფუძველზე
- გადასახადის გადამხდელს საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში სრულად აქვს გადახდილი საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული გადასახადის თანხა ან ფიზიკური პირის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული ზედმეტობა ფარავს საგადასახადო დავალიანების მოცულობას.

აუდიტის დეპარტამენტის უფროსს ენიჭება უფლებამოსილება, ხელი მოაწეროს ამ შემთხვევებში საგადასახადო სანქციისაგან პირის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას.

ამ მეთოდური მითითებით დამატებით განისაზღვრა, რომ გადასახადის გადამხდელი შესაძლოა გათავისუფლდეს დაკისრებული სანქციისგან, თუ აღმოაჩენს, რომ მის მიმართ შეფარდებული ჯარიმა ეხება სამეურნეო ოპერაციას, რომელზეც საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრისას იხელმძღვანელა ამავე ან/და ანალოგიურ სამეურნეო ოპერაციაზე საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული პოზიციის შესაბამისად. გადასახადის გადამხდელს შეუძლია აღნიშნული გარემოება მიუთითოს საჩივარში, რომელსაც წარუდგენს საგადასახადო ორგანოს, რის შედეგადაც შემოსავლების სამსახურის ის სტრუქტურული ერთეული, რომელმაც განახორციელა ჯარიმის შეფარდება, უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელი გაათავისუფლოს შეფარდებული სანქციისაგან. სანქციის გათავისუფლებას საფუძვლად უნდა ჰქონდეს პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ერთ-ერთი მტკიცებულება მაინც, რომელიც საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული პოზიციის დამადასტურებლად მიიჩნევა:

- საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემულ წერილობითი განმარტება
- საგადასახადო ორგანოსთან მიმოწერა ელექტრონული ფოსტით
- საგადასახადო ორგანოს განცხადება, შეტყობინება, განმარტება და სხვა მტკიცებულება ან დოკუმენტი, რომელიც განთავსებულია შესაბამის ოფიციალურ ვებგვერდებზე (www.rs.ge, www.mof.gov.ge, www.matsne.gov.ge)
- სხვა მტკიცებულება ან დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება საგადასახადო ორგანოს პოზიცია.

მოცემული მტკიცებულებები არ გამოიყენება სანქციისგან გასათავისუფლებლად იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდა ან შეიცვალა საქართველოს კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზე საგადასახადო ორგანოს მიერ გაიცა შესაბამისი პოზიცია ან ისეთ შემთხვევაში, თუ განხორციელებული სამეურნეო ოპერაცია არსებითად განსხვავდება იმ სამეურნეო ოპერაციისგან, რომელზე დაყრდნობითაც საგადასახადო ორგანოს მიერ გაიცა შესაბამისი პოზიცია.

აღნიშნული ცვლილებით მოცემული მეთოდური მითითებით დადგენილი სანქციებისგან (სსკ-ის 274-ე (საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების ვადის დარღვევა) და 282-ე მუხლის პირველი ნაწილით (დღგ-ს რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა)) გათავისუფლების ღონისძიებებს დაემატა ასევე უცხოელი დასაბეგრი პირის გათავისუფლების შესაძლებლობა. კერძოდ, უცხოელი დასაბეგრი პირი, რომელიც ნებაყოფლობით დარეგისტრირდა დღგ-ის პორტალზე და ვადის დარღვევით წარადგინა რეგისტრაციამდე საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაციები, თავისუფლდება დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევისთვის სსკ-ის 274-ე მუხლით დადგენილი სანქციისგან, როგორც კეთილსინდისიერი გადამხდელი, რომლის მიერ დაშვებული სამართალდარღვევა გამოწვეული იყო შეცდომით/არცოდნით.

ბრძანება ძალაშია 2022 წლის 4 ნოემბრიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს მეთოდურ მითითებებში საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სანქციებისგან გათავისუფლების ღონისძიებების თემაზე.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.